

სს “კორპორაცია ქინძმარაული”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
4. საოპერაციო შემოსავალი	18
5. ხარჯების გაშიფვრა მათი ბუნების მიხედვით	19
6. ბიოლოგიური აქტივები	20
7. სხვა შემოსავალი ხარჯი, წმინდა	20
8. ფინანსური ხარჯები, წმინდა	20
9. მოგების გადასახადის ხარჯი	21
10. ძირითადი საშუალებები	22
11. საინვესტიციო ქონება	23
12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	23
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
15. მიღებული სესხები	24
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
17. სააქციო კაპიტალი	24
18. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე	25
19. დაკავშირებული მხარეები	27
20. სასამართლო დავები	27
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაულის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „კორპორაცია ქინძმარაულის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შესაბამისი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებულ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაულის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „კორპორაცია ქინძმარაულის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შესაბამისი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნიდან გამომდინარე. თუ სხვა ინფორმაციასთან მიმართებით ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღმოვაჩენთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებითად მცდარია, ჩვენ მოგვეთხოვება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედენილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოხმულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის

- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეის“ სახელით

30 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო



მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

30 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

სს "კორპორაცია ქინძმარაული"
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავლები	4	20,349,421	15,003,074
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(11,764,801)	(6,948,593)
საერთო მოგება		8,584,620	8,054,481
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	6	1,903,463	3,013,306
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(4,028,187)	(3,889,870)
სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯი	5	(872,545)	(173,440)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	7	(1,150,995)	229,743
მოგება უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, წმინდა		334,139	88,932
ფინანსური ხარჯები, წმინდა	8	(269,317)	(108,633)
წლის მოგება დაბეგვრამდე		4,501,178	7,214,519
მოგების გადასახადი	9	(1,052)	(69,554)
წლის მოგება		4,500,126	7,144,965
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		4,500,126	7,144,965

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი
გენერალური დირექტორი



მთავარი ბუღალტერი
სოფო ბილანიშვილი

სს “კორპორაცია ქინძმარაული”
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავლები	4	20,349,421	15,003,074
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(11,764,801)	(6,948,593)
საერთო მოგება		8,584,620	8,054,481
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	6	1,903,463	3,013,306
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(4,028,187)	(3,889,870)
სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯი	5	(872,545)	(173,440)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	7	(1,150,995)	229,743
მოგება უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, წმინდა		334,139	88,932
ფინანსური ხარჯები, წმინდა	8	(269,317)	(108,633)
წლის მოგება დაბეგვრამდე		4,501,178	7,214,519
მოგების გადასახადი	9	(1,052)	(69,554)
წლის მოგება		4,500,126	7,144,965
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		4,500,126	7,144,965

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი
 გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი
 სოფო ბილანიშვილი

სს "კორპორაცია ქინძმარაული"

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	25,009,152	22,087,585
საინვესტიციო ქონება	11	120,077	97,997
არამატერიალური აქტივები		14,162	16,662
მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები	6	810,165	439,787
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	14,030,599	11,057,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	8,155,494	6,729,030
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	2,431,389	4,344,788
სულ აქტივები		50,571,038	44,773,834
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	2,458,718	1,572,896
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	1,535,500	1,788,693
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,470,387	2,805,938
სულ ვალდებულებები		7,464,605	6,167,527
სააქციო კაპიტალი	17	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება		40,745,433	36,245,307
სულ კაპიტალი		43,106,433	38,606,307
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		50,571,038	44,773,834

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი
გენერალური დირექტორი



მთავარი ბუღალტერი
სოფო ბილანიშვილი

სს “კორპორაცია ქინძმარაული”
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	25,009,152	22,087,585
საინვესტიციო ქონება	11	120,077	97,997
არამატერიალური აქტივები		14,162	16,662
მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები	6	810,165	439,787
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	14,030,599	11,057,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	8,155,494	6,729,030
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	2,431,389	4,344,788
სულ აქტივები		50,571,038	44,773,834
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	2,458,718	1,572,896
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	1,535,500	1,788,693
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,470,387	2,805,938
სულ ვალდებულებები		7,464,605	6,167,527
სააქციო კაპიტალი	17	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება		40,745,433	36,245,307
სულ კაპიტალი		43,106,433	38,606,307
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		50,571,038	44,773,834

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი
 გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი
 სოფო ბილანიშვილი

სს "კორპორაცია ქინძმარაული"

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2017	2,361,000	29,637,184	31,998,184
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,144,965	7,144,965
გაცხადებული დივიდენდი	-	(536,842)	(536,842)
31 დეკემბერი, 2018	2,361,000	36,245,307	38,606,307
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,500,126	4,500,126
31 დეკემბერი, 2019	2,361,000	40,745,433	43,106,433

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი

გენერალური დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

სოფო ბილანიშვილი

სს “კორპორაცია ქინძმარაული”
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2017	2,361,000	29,637,184	31,998,184
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,144,965	7,144,965
გაცხადებული დივიდენდი	-	(536,842)	(536,842)
31 დეკემბერი, 2018	2,361,000	36,245,307	38,606,307
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,500,126	4,500,126
31 დეკემბერი, 2019	2,361,000	40,745,433	43,106,433

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი
 გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი
 სოფო ბილანიშვილი

სს "კორპორაცია ქინძმარაული"
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგვრამდე	4,501,178	7,214,519
კორექტირებები:		
- ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(1,903,463)	(3,013,306)
- ცვეთა და ამორტიზაცია	1,013,384	690,513
- საპროცენტო ხარჯი, წმინდა	269,317	108,633
- გაუფასურების ზარალი	(102,496)	193,133
- ნელა მოძრავი მარაგების ჩამოწერა	57,033	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,535,932)	36,952
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა	(1,090,564)	(15,515)
ბიოლოგიური აქტივების ზრდა	(370,378)	(326,895)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა	1,308,338	955,913
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები დაბეგვრამდე პროცენტამდე	2,146,417	5,843,947
გადახდილი პროცენტი	(290,449)	(69,554)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,052)	(108,633)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,854,916	5,665,760
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,452,865)	(4,469,590)
ძირითადი საშუალებების გასხვისება	51,922	164,391
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(4,400,944)	(4,305,199)
საფინანსო საქმიანობა		
სესხების მიღება	2,555,218	2,386,997
სესხების დაფარვა	(1,922,589)	(1,290,501)
დივიდენდის გადახდა	-	(536,842)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	632,629	559,654
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(1,913,399)	1,920,215
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,344,788	2,424,573
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,431,389	4,344,788

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი
გენერალური დირექტორი



მთავარი ბუღალტერი
სოფო ბილანიშვილი

სს “კორპორაცია ქინძმარაული”
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგვრამდე	4,501,178	7,214,519
კორექტირებები:		
- ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(1,903,463)	(3,013,306)
- ცვეთა და ამორტიზაცია	1,013,384	690,513
- საპროცენტო ხარჯი, წმინდა	269,317	108,633
- გაუფასურების ზარალი	(102,496)	193,133
- ნელა მოძრავი მარაგების ჩამოწერა	57,033	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,535,932)	36,952
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა	(1,090,564)	(15,515)
ბიოლოგიური აქტივების ზრდა	(370,378)	(326,895)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა	1,308,338	955,913
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები დაბეგვრამდე პროცენტამდე	2,146,417	5,843,947
გადახდილი პროცენტი	(290,449)	(69,554)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,052)	(108,633)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,854,916	5,665,760
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,452,865)	(4,469,590)
ძირითადი საშუალებების გასხვისება	51,922	164,391
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(4,400,944)	(4,305,199)
საფინანსო საქმიანობა		
სესხების მიღება	2,555,218	2,386,997
სესხების დაფარვა	(1,922,589)	(1,290,501)
დივიდენდის გადახდა	-	(536,842)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	632,629	559,654
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(1,913,399)	1,920,215
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,344,788	2,424,573
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,431,389	4,344,788

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

ნუგზარ ქსოვრელი
 გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი
 სოფო ბილანიშვილი

1. ძირითადი საქმიანობა

სს „კორპორაცია ქინძმარაული“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები (იხილეთ შენიშვნა 2.2 კონსოლიდაციის საფუძველი) ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება. კომპანიას აქვს საკუთარი ვენახები და ღვინის ქარხანა ყვარელში, კახეთის რაიონი - ქართული ღვინის წარმოების ცენტრი. ჯგუფი აგრეთვე ფლობს ჰიდროელექტრო სადგურს („ჰესი“) ყვარელთან ახლოს და ჰოტელს ყვარელში.

კომპანიის აქციონერები არიან:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
თამაზ კონჭოშვილი	43.21%	43.21%
ეკატერინე ამირანაშვილი	23.91%	23.91%
სიმონ ტუგუნიძე	11.38%	11.38%
ალექსანდრე ბილანიშვილი	9.48%	9.35%
ელგუჯა ცირიკაშვილი	5.93%	5.93%
სხვა აქციონერები	6.09%	6.22%
სულ	100.00%	100.00%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის (მოგება-ზარალის), ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ჯგუფი წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, რადგან თვლის, რომ ანგარიშგების მკითხველს უფრო გამოსადეგ ინფორმაციას აძლევს ეს მეთოდი, ვინაიდან იგი უკეთესად ასახავს თუ როგორ იმართება ოპერაციები ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე / გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეკვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

როგორც ეს მე-21 შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ ჯგუფზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

2.2 კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდებიან კომპანიის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც კომპანიას აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი სამუშაო საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

კომპანიის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვისას გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული ამოცნობადი აქტივები და ვალდებულებები თუ პირობითი ვალდებულებები, დაშვებული ბიზნეს გაერთიანებისას აღირიცხება შესყიდვის დღეს არსებული სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

შიდა კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა კომპანიის ტრანზაქციიდან არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

კომპანია ფლობს შემდეგ შვილობილ კომპანიებს, რეგისტრირებულს საქართველოში:

დასახელება	კომპანიის წილი		ბიზნესი
	2019	2018	
შპს კონჭო და კომპანია	100%	100%	ღვინის წარმოება
შპს კახეთი-კ	100%	100%	ღვინის წარმოება
შპს შატო ყვარელი	100%	100%	ჰოტელის და რესტორნის მართვა
შპს ვაზის ცრემლები	100%	100%	არ ფუნქციონირებს
შპს რონი	100%	100%	არ ფუნქციონირებს
შპს ყვარელი-ინ	100%	100%	არ ფუნქციონირებს

2.3. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა ფასს 16 “იჯარა“ პირველად გამოიყენა. აღნიშნული ახალი სტანდარტის გამოყენებით გამოწვეული ცვლილებები აღწერილია ქვემოთ.

სხვა მრავალი შესწორება და ინტერპრეტაცია შევიდა ძალაში პირველად 2019 წელს, თუმცა გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტი, რომლებიც გამოიცა, მაგრამ არ იყო ძალაში შესული.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 - იჯარის თავდაპირველი გამოყენების შედეგი

ფასს 16-ს შემოაქვს ახალი ან შესწორებული მოთხოვნები საიჯარო აღრიცხვასთან მიმართებაში. მას შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიჯარისთვის საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის განსხვავების მოხსნის გზით და ითხოვს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარებას ყველა იჯარის დასაწყისში, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარისა. მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებული მოთხოვნები დიდწილად უცვლელი რჩება. ფასს 16-ის მიღების გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე აღწერილია ქვემოთ.

ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(a) იჯარის ახალი განმარტების გავლენა

ჯგუფმა ფასს 16-ზე გადასვლისას გამოიყენა ხელმისაწვდომი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა, რათა არ მომხდარიყო ხელახალი შეფასება იმისა, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. შესაბამისად, იჯარის განმარტების გამოყენება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით გაგრძელდება 2019 წლის 1 იანვრამდე დადებულ ან შესწორებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

იჯარის განმარტების ცვლილება ძირითადად უკავშირდება კონტროლის კონცეფციას. ფასს 16 განსაზღვრავს არის თუ არა ხელშეკრულება იჯარის შემცველი იმის საფუძველზე, აქვს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებულ აქტივზე კონტროლის უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ. ეს უპირობოდ ბასს 17 – სა და ფასიკ 4 –ში მოცემული აქცენტებს „რისკები და სარგებელი“-ს თაობაზე.

(b) გავლენა მოიჯარის აღრიცხვაზე

წინა საოპერაციო იჯარები

ფასს 16 არ ცვლის ჯგუფისთვის ისეთი იჯარების აღრიცხვის მეთოდს, რომლებიც ადრე კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო იჯარები ბასს 17-ის შესაბამისად და იყო ბალანსგარეშე ანგარიშზე.

2.4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

2.5. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა ხდება კლიენტისთვის საქონლის მიწოდება და საკუთრების უფლების გადაცემა. შემოსავალი არის საქონლის საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (მაგალითად, დღგ).

2.6. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მითანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი და ნარჩენი ღირებულების მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი და ცვეთის დარიცხვის მეთოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალების ფონდი</i>	<i>ცვეთის განაკვეთი და მეთოდი</i>
მიწა	არ იცვითება
მსხმოიარე ნარგავები: ვაზის ვენახები	3.33% წრფივად
შენობა-ნაგებობები	2%-5% წრფივად
ჰესი	2.5%-7% წრფივად
მანქანა-დანადგარები	8%-20% შემცირებადი ნაშთით
სხვა	20% შემცირებადი ნაშთით

2.7. იჯარა

იჯარის დაწყების დღეს, საიჯარო ვალდებულება იზომება მომავალი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით. აქტივების გამოყენების უფლების თავდაპირველი აღიარება ხდება საიჯარო ვალდებულების სიდიდით, იზრდება რომელიმე ადრე განხორციელებული საიჯარო გადასახდელით (მიღებული საიჯარო შეღავათების გამოკლებით), ჯგუფის მიერ გაწეული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებით და ჯგუფის მიერ განხორციელებული დემონტაჟისა და აღდგენის ხარჯების შეფასებით.

საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალში, თუ ისინი პირდაპირ არ მიეკუთვნება განსაკუთრებულ აქტივებს, რა შემთხვევაშიც ხდება მათი კაპიტალიზაცია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების თაობაზე ჯგუფის ძირითადი პოლიტიკის შესაბამისად. პირობითი საიჯარო გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური იჯარის პირობებში, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

2.8. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა არ იცვითება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.9. არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.10. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდიანებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.11. ბიოლოგიური აქტივები (გარდა მსხმოიარე ნარგავებისა)

ბიოლოგიური აქტივები (ყურძენი) თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი).

მოსავლის აღების (რთველის) შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტი (ყურძენი) წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალურ მარაგს და თავდაპირველად აღიარდება რთველის დროს არსებული სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი), რაც განისაზღვრება ლოკალური საბაზრო ფასით.

მოგება, რომელიც წარმოიქმნება ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით (მინუს გაყიდვის ხარჯი) ან ამ ღირებულების ცვლილებით, აღიარდება მოგება-ზარალში (ბიოლოგიური ტრანსფორმაციის ხარჯის გამოკლებით).

2.12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მომცველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.13. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს-მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირითადს. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი და ძირითადი დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) ჯგუფმა გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) ჯგუფს არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტის სესხების შემთხვევაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.14. საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ლ), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.15. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით.

2.16. სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტი აღიარდება, როცა მისი მიღების პირობები დაკმაყოფილებულია და არსებობს გონივრული რწმუნება, რომ მოხდება გრანტის მიღება. უკვე გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად მისაღები გრანტი, რომელიც არაა დაკავშირებული მომავალში დასაკმაყოფილებელ მოთხოვნებთან, აღიარდება მოგება-ზარალში.

2.17. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ლ), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ლ	EUR / ლ
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	2.82	3.16
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის	2.53	2.99

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.18. მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, გარდა საშემოსავლოსი აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2.19. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-13 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 866,414 ლარს და 739,069 ლარს, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. საოპერაციო შემოსავალი

ჯგუფის საოპერაციო შემოსავალი 2019 და 2018 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,942,714	12,939,197
ჰოტელის და რესტორნის შემოსავალი	1,058,347	1,012,398
ელექტროენერგიის რეალიზაცია	232,106	463,819
სხვა	116,254	587,660
სულ საოპერაციო შემოსავალი	20,349,421	15,003,074

4. საოპერაციო შემოსავალი (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ინფორმაციას ღვინის და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის შესახებ ქვეყნების მიხედვით:

	2019	2018
ჩინეთი	4,103,511	2,226,547
საქართველო	3,486,071	2,452,082
უკრაინა	2,875,203	2,384,747
ბელარუსი	2,761,863	1,151,695
ევროკავშირი	1,669,778	1,328,472
რუსეთი	1,264,692	697,129
ყაზახეთი	1,045,181	1,297,621
აშშ	777,432	426,296
იაპონია	545,887	526,138
კანადა	413,096	448,470
სულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,942,714	12,939,197

5. ხარჯების გაშიფვრა მათი ბუნების მიხედვით

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების, სადისტრიბუციო და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მათი ბუნების მიხედვით 2019 და 2018 წლების შესაბამისად:

რეალიზაციის თვითღირებულება	2019	2018
გამოყენებული მარაგები	9,799,084	4,952,319
ხელფასები	1,162,013	1,108,090
ცვეთა და ამორტიზაცია	704,387	449,652
სხვა	99,317	438,532
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	11,764,801	6,948,593

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2018
ხელფასები	1,303,518	1,745,309
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	670,236	462,561
უმაღლესი ხელმძღვანელობის წლიური ბონუსი	570,131	502,201
ცვეთა და ამორტიზაცია	308,997	240,861
საექვო მოთხოვნების ჩამოწერა და ანარიცხი	287,052	193,133
გამოყენებული მარაგები (კაპიტალიზირებული ხელფასების გარდა და ცვეთის გარდა)	201,541	306,609
ქონების გადასახადი	153,164	146,297
მარკეტინგი	135,274	288,762
ნელა მოძრავი მარაგების ჩამოწერა	83,509	-
სარეკლამო ხარჯი	56,919	-
სხვა*	257,847	4,137
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,028,188	3,889,870

*სხვა ხარჯები მოიცავს აუდიტორული მომსახურების ღირებულებას, რომელიც 2019 წელს შეადგენს 25,319 ლარს (2018: 48,103)

სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯი	2019	2018
ტრანსპორტირება	330,017	173,440
მარკეტინგის ხარჯი	542,528	-
სულ სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯი	872,545	173,440

6. ბიოლოგიური აქტივები

ჯგუფის ბიოლოგიური აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ყურძენი	792,149	410,694
თხილი	16,923	28,001
სიმინდი	1,093	1,092
სულ ბიოლოგიური აქტივები	810,165	439,787

ქვემოთ წარმოდგენილია ყურძნის ღირებულების რეკონსილაცია:

31 დეკემბერი 2017	95,969
დარგული	956,626
ყურძნის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,403,684
მოკრეფილი	(2,045,585)
31 დეკემბერი 2018	410,694
დარგული	1,092,807
ყურძნის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,903,463
მოკრეფილი	(2,614,815)
31 დეკემბერი 2019	792,149

7. სხვა შემოსავალი ხარჯი, წმინდა

ჯგუფის სხვა წმინდა შემოსავალი 2019 და 2018 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
საგადასახადო აქტივის ჩამოწერა*	(1,166,155)	-
საეჭვო მოთხოვნების აღდგენა	73,260	147,826
აქტივების აღიარება	25,285	35,348
უსასყიდლო მიწოდება	(16,878)	-
აქტივების დემონტაჟი	-	(33,713)
სახელმწიფო გრანტი ყურძნის შესაძენად	-	53,632
სხვა	(66,507)	26,650
სულ სხვა შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	(1,150,995)	229,743

*საგადასახადო აქტივის ჩამოწერა წარმოადგენს წინა პერიოდში ასახული საგადასახადო აქტივის ჩამოწერას.

8. ფინანსური ხარჯები, წმინდა

ჯგუფის წმინდა ფინანსური ხარჯები 2019 და 2018 წლების შესაბამისად გამოიყურება შემდეგნაირად:

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი ბანკის სესხებზე	(338,005)	(209,363)
სახელმწიფო გრანტი - აგრო სესხების დაფინანსება	57,265	97,825
სხვა საპროცენტო შემოსავალი	11,423	2,905
სულ ფინანსური ხარჯი, წმინდა	(269,317)	(108,633)

9. მოგების გადასახადის ხარჯი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე ($1/85\% \times 15\%$) ოდენობის დარიცხვით.

კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელში დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში ხდება.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მსხმოიარე ნარგავები: ვაზის ვენახები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ჰესი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
ღირებულება								
31 დეკემბერი 2017	5,014,444	3,806,391	7,364,066	2,781,889	1,070,800	552,052	969,306	21,558,948
შეძენა	803,733	365,656	998,155	1,408,233	-	806,362	140,071	4,522,210
ტრანსფერი	-	-	301,143	-	-	(301,143)	-	-
გასვლა	(113,619)	(47,522)	-	(3,250)	-	-	-	(164,391)
31 დეკემბერი 2018	5,704,558	4,124,525	8,663,364	4,186,872	1,070,800	1,057,271	1,109,378	25,916,767
შეძენა	256,067	-	1,178,712	1,750,226	-	466,412	361,679	4,013,096
ტრანსფერი	(22,080)	19,129	213,648	-	-	(232,776)	-	(22,080)
გასვლა	(22,270)	-	-	(6,112)	-	-	(23,540)	(51,922)
31 დეკემბერი 2019	5,916,275	4,143,654	10,055,723	5,930,986	1,070,800	1,290,907	1,447,517	29,855,861
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2017	-	380,639	417,920	1,614,101	141,867	-	587,362	3,141,889
პერიოდის ცვეთა	-	127,763	158,256	274,532	47,416	-	87,848	695,815
გასვლა	-	(6,336)	-	(2,185)	-	-	-	(8,521)
31 დეკემბერი 2018	-	502,066	576,176	1,886,448	189,283	-	675,210	3,829,183
პერიოდის ცვეთა	-	137,484	208,685	526,066	47,416	-	124,123	1,043,774
გასვლა	-	-	-	(4,510)	-	-	(13,217)	(17,726)
31 დეკემბერი 2019	-	633,214	784,861	2,405,819	236,698	-	786,116	4,846,709
ნარჩენი ღირებულება								
31 დეკემბერი 2018	5,704,558	3,622,459	8,087,187	2,300,424	881,517	1,057,271	434,168	22,087,585
31 დეკემბერი 2019	5,916,275	3,510,440	9,270,862	3,525,166	834,102	1,290,907	661,401	25,009,152

ჯგუფის შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილი დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად. ცვეთის ხარჯი შედის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში და საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

11. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, რომელთა მისამართია: თბილისი, სოფელი დილომი (თელოვანი) და ამბროლაური, სოფელი ღვიარა.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერსა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 120,077 ლარს და 97,997 ლარს.

12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ნედლეული და მასალები	4,954,746	4,247,540
სითხეები	8,136,962	6,049,114
დაუმთავრებელი პროდუქცია	601,866	358,830
მზა პროდუქცია	322,185	384,550
სხვა მარაგები	14,840	17,951
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14,030,599	11,057,985

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	6,658,511	5,898,018
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(866,414)	(739,069)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	5,792,097	5,158,949
არაფინანსური აქტივები		
წინასწარი გადახდები	1,716,446	1,192,695
წინასწარ გადახდილი გადასახადები	646,951	377,386
სულ დებიტორული მოთხოვნები	8,155,494	6,729,030

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

31 დეკემბერი 2017	784,348
პერიოდის წმინდა მოძრაობა	(45,279)
31 დეკემბერი 2018	739,069
პერიოდის წმინდა მოძრაობა	127,345
31 დეკემბერი 2019	866,414

მოთხოვნების რეზერვის და ჩამოწერის ხარჯი არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილი მოგება-ზარალში, ხოლო რეზერვის აღდგენის აღიარება ხდება სხვა შემოსავალში. ჯგუფმა 2019 წელს შექმნა 251,522 ლარის რეზერვი, 36,190 ლარის მოთხოვნა ჩამოწერა და აღადგინა 124,175 ლარის მოთხოვნა (2018: რეზერვი 60,199, ჩამოწერა 139,022).

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფული სალაროში	31,122	103,701
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,400,267	4,241,087
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,431,389	4,344,788

15. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი სესხები სს „პროგრედიტ ბანკისგან“	6-13%	2,458,718	1,572,896
სულ გრძელვადიანი სესხები		2,458,718	1,572,896
გრძელვადიანი სესხების მოკლევადიანი ნაწილი		1,535,500	1,788,693
სულ სესხები		3,994,218	3,361,589

საქართველოს მთავრობა აფინანსებს სარგებლის 8%-ს და ჯგუფი იხდის დანარჩენ 3%-ს.

მიღებული სესხების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

დამატებითი ინფორმაცია მიღებულ სესხებზე წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება შემდეგნაირად:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	805,175	989,173
ტოპ მენეჯმენტის გასაცემი ბონუსი	1,123,923	608,964
გასაცემი დივიდენდი	-	266,482
გასაცემი ხელფასი	(102,358)	(50,169)
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	1,158,927	4,245
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	484,721	987,243
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,470,387	2,805,938

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

17. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება ნებადართული და განთავსებული 45,000 ჩვეულებრივი აქციისგან, 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 52.47 ლარი. აქციონერები წარმოდგენილია შენიშვნა 1-ში - ძირითადი საქმიანობა.

18. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ზარის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	9,021,908	5,898,018
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,431,389	4,344,788
	11,453,297	10,242,806
ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სესხები	3,994,218	3,361,589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,470,387	2,805,938
	7,464,605	6,167,527

საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით. არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,021,908	5,898,018
ფული ბანკში	2,400,267	4,241,087
	11,422,175	10,139,105

გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

18. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სესხები	2,262,169	1,034,665	697,384	3,994,218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,470,387	-	-	3,470,387
31 დეკემბერი 2019	5,732,556	1,034,665	697,384	7,464,605

	1 წელზე ნაკლები	1-დან 3 წლამდე	1-დან 3 წლამდე	სულ
საიჯარო ვალდებულება	1,572,896	1,788,693	-	3,361,589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,805,938	-	-	2,805,938
31 დეკემბერი 2018	4,378,834	1,788,693	-	6,167,527

ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	2,789,106	4,215,655	2,017,147	9,021,908
ფული და ფულის ეკვივალენტები	178,396	1,573,179	679,814	2,431,389
31 დეკემბერი 2019	2,967,503	5,788,834	2,696,961	11,453,297

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	3,916,708	434,543	1,546,767	5,898,018
ფული და ფულის ეკვივალენტები	853,538	1,450,819	2,040,431	4,344,788
31 დეკემბერი 2018	4,770,246	1,885,362	3,587,198	10,242,806

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	1,623,479	-	2,370,739	3,994,218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,797,411	273,071	399,905	3,470,387
31 დეკემბერი 2019	4,420,890	273,071	2,770,644	7,464,605

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სესხები	2,686,167	-	675,422	3,361,589
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,446,230	134,851	224,857	2,805,938
31 დეკემბერი 2018	5,132,397	134,851	900,279	6,167,527

18. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე (გაგრძელება)

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას 551,576 ლარით (2018: 175,051 ლარით), ხოლო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას 7,368 ლარით (2018: 268,692 ლარით).

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების მოცულობა და ნაშთები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

ტრანზაქციების ოდენობა:	2019	2018
გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებთან	253,058	345,139
გაყიდვები საკვანძო მენეჯერებზე	1,860	2,314
შესყიდვები საკვანძო მენეჯერებისაგან	35,475	155,431
საკვანძო მენეჯერების ანაზრაურება	1,122,933	976,504
ნაშთები:	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისაგან	413,859	440,771
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საკვანძო მენეჯერებისაგან	4,775	8,623
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები საკვანძო მენეჯერებისაგან	317,219	732,944

ზემოთ წარმოდგენილი ტრანზაქციები შესრულდა იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებთან.

20. სასამართლო დავები

მინორიტარი აქციონერი ეკატერინე ამირანაშვილი (შენიშვნა 1 - ძირითადი საქმიანობა) ითხოვს: 10,000,000 ლარს კომპანიის სასარგებლოდ კომპანიის დირექტორისგან; 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის გაუნაწილებელი მოგებიდან საკუთარი წილის პროპორციულ დივიდენდს; სამეთვალყურეო საბჭოს თავდომარისა და დირექტორის განთავისუფლებასა და აქციონერთა კრების, რომელმაც სამეთვალყურეო საბჭო აირჩია, ბათილად ცნობას.

პირველი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 1-ლ ივლისს, თუმცა გადაიდო და ჩაინიშნა ამავე წლის 8 ოქტომბერს. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელე მხარის მოთხოვნას.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. მისი მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე, თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მას მნიშვნელოვანი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია კომპანიაზე.

2020 წელს კომპანიამ მიიღო დივიდენდი 3,869,700 ლარის ოდენობით.

2020 წლის 31 აგვისტოს ჯგუფმა მიიღო სესხი სს „პროკრედიტ ბანკისგან“ 1,500,000 ლარის ოდენობით 15 თვიანი ვადით.

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაული“

მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2019 წელს გაწეული სამუშაოს შედეგების მიხედვით

შინაარსი

I.საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	3
II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა	3
III.საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	4
IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	7
V.ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ	9
VI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა	9
VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა.....	9

I. საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

სააქციო საზოგადოება კორპორაცია „ქინძმარაული“ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც თავად სს კორპორაცია „ქინძმარაულს“, ასევე მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს.

კორპორაცია „ქინძმარაული“ მოქმედი შვილობილი საწარმოების შესახებ:

- შპს „კონჭო და კომპანია“, ს/ნ 241565702, მისამართი ქ. ყვარელი ერეკლე მეორეს ქ.#10. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „კახეთი-კ“, ს/ნ 241569209, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#2. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „შატო ყვარელი“, ს/ნ 441555988, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#1ა. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.

თავად სს კორპორაცია „ქინძმარაული“, ს/ნ 241557409, მისამართი ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ.# 55, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს შეადგენს: სოფლის მეურნეობა-ძირითადად მევენახეობა; ყურძნის წარმოება-გადამუშავება; ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ბრენდის წარმოება -რეალიზაცია. აგრეთვე საწარმოს ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება.

საწარმოს ერიცხება საკუთარი ჰიდროელექტროსადგური, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 1,5 მეგავატია.

საზოგადოება შვილობილი საწარმოების ჩათვლით აწარმოებს ღვინის, ბრენდის რეალიზაციას ექსპორტზე და ადგილობრივ ბაზარზე.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო 2019 წელს საზოგადოების განვითარების შედეგებს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით წარმატებულად აფასებს. საზოგადოებამ 2019 წელიწადი დაასრულა 4 500 126 ლარი მოგებით, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 2 644 839 ლარით ნაკლებია.

საანგარიშო წელს სამეთვალყურეო საბჭოს მთელი საქმიანობა აქციონერთათვის გამჭვირვალედ რჩებოდა, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ყველა ოქმი ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი აქციონერისათვის, მისი მოთხოვნის შესაბამისად.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო და საზოგადოების მენეჯმენტი უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკას.

II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საექსპორტო ქვეყნების და პარტნიორების მოძიება საექსპორტო პორტფელის დივერსიფიკაციის მიზნით;
- პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა და კონტროლი.

რაც შეეხება საინვესტიციო საქმიანობას - საზოგადოება ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე.

2019 წელს საზოგადოებამ განახორციელა საინვესტიციო დაბანდებები თანხით 6 მლნ-ზე მეტი ლარის, მათ შორის შევსებით ძირითადებს:

- მიწის ნაკვეთები - 314 520 ლარის;
- ვენახის გაშენება და წვეთოვანი სისტემები - 364 300 ლარის;
- შენობების შეძენა - 1 037 000 ლარი;
- ცისტერნები, ქარხნის გადაიარაღება (მანქანა-დანადგარები) - 1 938 000 ლარის;
- მშენებლობა და მონტაჟი - 1 680 000 ლარის;
- ტრანსპორტი - 148 740 ლარი;
- ტურისტული ინფრასტრუქტურა - 146 800 ლარის

2019 წელს პროექტების და დაფინანსების წყარო იყო საზოგადოების გასული პერიოდის მოგების ნაწილი, მოზიდული სახსრები და ამორტიზაციის ფონდი.

მომდევნო უახლოესი პერიოდის - 2020 წლიდან საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია:

- ღვინის ახალი ჩამოსასხმელი ხაზის დანადგარი -0,8 მლნ ლარი;
 - გასულ წლებში დაწყებული მშენებლობების გაგრძელება-დასრულება - 0,7 მლნ ლარის;
 - ვენახის გაშენება-გამორგვა და კაპიტალიზაცია- 0,3 მლნ ლარის;
 - შენობების აშენება -შეძენა, მიწების შეძენა - 1,2 მლნ ლარი;
 - ტურისტული ინფრასტრუქტურა - 50 ათასი ლარი;
 - ქარხნისათვის გადაიარაღება სხვადასხვა მ/ქონების და დანადგარების შეძენა -2,6 მლნ ლარი,
- სულ ამ პერიოდისათვის დაგეგმილია 6 მლნ ლარამდე ინვესტიციების განხორციელება.

III.საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.

საზოგადოების 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის

დახასიათება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (ლარში) :

	2019	2018
შემოსავლები	20,349,421	15,003,074
რეალიზაციის თვითღირებულება	(11,764,801)	(6,948,593)
საერთო მოგება	8,584,620	8,054,481
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,903,463	3,013,306
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,028,187)	(3,889,870)
სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯი	(872,545)	(173,440)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	(1,150,995)	229,743
მოგება უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, წმინდა	334,139	88,932
ფინანსური ხარჯები, წმინდა	(269,317)	(108,633)
წლის მოგება დაბეგვრამდე	4,501,178	7,214,519
მოგების გადასახადი	(1,052)	(69,554)
წლის მოგება	4,500,126	7,144,965
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	4,500,126	7,144,965

საბაზისო მოგება ერთ აქციაზე შეადგენს 2019 წელს 100 და 2018 წელს 158,78 ლარს.

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება და ელენერგიის წარმოება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს

ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2019 წელს ამონაგებმა შეადგინა 20 349,4 ათასი ლარი, რაც 5 346,4 ათასი ლარით მეტია 2018 წელთან შედარებით.

ამონაგები 2019 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. გადატვირთული (რეალიზებული) პროდუქციის რაოდენობის ზრდა;
2. მოძიებულ იქნა ახალი საექსპორტო სავაჭრო პარტნიორები;
3. გაიზარდა ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის გაყიდვა, რომელშიც უდიდეს წილს შეადგენს ღვინის სახლიდან ტურისტულ ნაკადებზე გაყიდული პროდუქციის ღირებულება

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა, ლარი

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	25,009,152	22,087,585
საინვესტიციო ქონება	120,077	97,997
არამატერიალური აქტივები	14,162	16,662
მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები	810,165	439,787
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14,030,599	11,057,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,155,494	6,729,030
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,431,389	4,344,788
სულ აქტივები	50,571,038	44,773,834
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2,458,718	1,572,896
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული სესხები	1,535,500	1,788,693
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,470,387	2,805,938
სულ ვალდებულებები	7,464,605	6,167,527
სააქციო კაპიტალი	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება	40,745,433	36,245,307
სულ კაპიტალი	43,106,433	38,606,307
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	50,571,038	44,773,834

საზოგადოების საბრუნავი აქტივები გაიზარდა 2 856,1 ათასი ლარი

2019 წლის ბოლოსათვის სს კორპორაცია „ქინძმარაულს“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 50 571 ათასი ლარი, 2018 წელში კი - 44 773,8 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 5 797,2 ათასი ლარით ძირითადი საშუალებების ზრდის და გაუნაწილებელი მოგების შედეგად.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.28	2.51
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	5.08	4.91

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 2,51-დან 2,28-მდე. მოცემული მაჩვენებლის შემცირებაზე იმოქმედა სასაქონლო მატერიალური მარაგების ზრდამ.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 4,91-დან 5,08-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის გაზრდას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის გაზრდა ასევე განპირობებულია სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და სავაჭრო მოთხოვნების გაზრდით.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაყიდვების რენტაბელობა	22,1%	47,6%

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლებიდან განვიხილოთ გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებელი, რომელიც 2019 წელს შეადგენდა 22,1%, 2018 წელს 47,6%, მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების მიერ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლის გაზრდით.

საზოგადოების საქმიანობის 2019 წლის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დაახასიათდეს შემდეგნაირად.

	2019	2018
ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,942,714	12,939,197
ჰოტელის და რესტორნის შემოსავალი	1,058,347	1,012,398
ელექტროენერგიის რეალიზაცია	232,106	463,819
სხვა	116,254	587,660
სულ საოპერაციო შემოსავალი	20,349,421	15,003,074

	2019	2018
ჩინეთი	4,103,511	2,226,547
საქართველო	3,486,071	2,452,082
უკრაინა	2,875,203	2,384,747
ბელარუსი	2,761,863	1,151,695
ევროკავშირი	1,669,778	1,328,472
რუსეთი	1,264,692	697,129
ყაზახეთი	1,045,181	1,297,621
აშშ	777,432	426,296
იაპონია	545,887	526,138
კანადა	413,096	448,470
სულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,942,714	12,939,197

მოგების მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე ასევე წარმოგიდგენთ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2017	2,361,000	29,637,184	31,998,184
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,144,965	7,144,965
გაცხადებული დივიდენდი	-	(536,842)	(536,842)
31 დეკემბერი, 2018	2,361,000	36,245,307	38,606,307
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,500,126	4,500,126
31 დეკემბერი, 2019	2,361,000	40,745,433	43,106,433

IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

სს კორპორაცია ქინძმარაულის „ ძირითადი საქმიანობაა ალკოჰოლური სასმელების წარმოება-რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა და ელენერგიის წარმოება.

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს , რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე , შემდეგია:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ყურძნის შესყიდვასთან დაკავშირებით სუბსიდიების დაშვება ან გაუქმება, რომელიც საბოლოოდ შესასყიდი ფასის მკვეთრ ცვალებადობას იწვევს ერთი სეზონის განმავლობაში.

აგრეთვე ელენერგიის ტარიფებთან დაკავშირებით დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის(სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს ჰესის მიმდინარე ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 27.12.2017 წ. №48 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ. დადგენილებაში №33 “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან დადგინდა ახალი ტარიფები ელექტროენერგიის განაწილებაზე, გატარებასა და მოხმარებაზე.

გლობალური საერთაშორისო რისკები. COVID-19 თან დაკავშირებული რისკები: მოცემული პანდემიის შედეგად გამოწვეული რისკები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს 2020 წლის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ეს შესამჩნევი იქნება ექსპორტზე გადატვირთვებთან მიმართებაში, ხოლო მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი ბაზრისათვის. კერძოდ , 2020 წლის 6 თვის შედეგებით ტურისტული ნაკადების შეწყვეტის გამო საწარმოს ამ პერიოდისათვის ადგილობრივი ბაზრის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია მხოლოდ 12 %-ით . რაც ფულად გამოხატულებაში შემოუსვლელები თანხა 2019 წელთან შედარებით 1 760 ათასი ლარით ნაკლებია.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელსაც საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის

გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი დასაოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე საზოგადოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

საკრედიტო რისკები. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს აუცილებელი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომელთაც დაკავშირებითაა კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოადგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურულიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. პრობლემური დებიტორების დროული იდენტიფიცირების და დავალიანებისთვის სათანადო რეზერვების შექმნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობა ახორციელებს რეზერვირების კონსერვატიულ პოლიტიკას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, რესტრუქტურულიზებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები დამოკიდებულია შიდა და გარე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული რამოდენიმე შემსყიდველით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

საბაზრო რისკები. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო დასპეციფიკური რყევების ზემოქმედებას. სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე.

ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარისი მოქნილობა მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდაკონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა. რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

- არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებების არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;
- სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

- უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;
 - შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, ვალდებულება, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
 - სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;
 - წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.
2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არა სარწმუნოებაზე.
 3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან / სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

V. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისა აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2019 წელში საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად არ გადაწყდა ჩვეულებრივ აქტივებზე დივიდენდების გადახდა .

VI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სსკორპორაცია „ქინძმარაულის“ სააქციო კაპიტალი შეადგენს 2,361,000 ლარს და დაყოფილია 45,000 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 52,47 ლარი თითოეული.

კომპანიის აქციონერები არიან:

	2019	2018
თამაზ კონჭოშვილი	43.21%	43.21%
ეკატერინე ამირანაშვილი	23.91%	23.91%
სიმონ ტუგუნიძე	11.38%	11.38%
ალექსანდრე ბილანიშვილი	9.48%	9.35%
ელგუჯა ცირიკაშვილი	5.93%	5.93%
სხვა აქციონერები	6.09%	6.22%
	100.00%	100.00%

VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს

განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას.

აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით.

აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის თაობაზე, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით, მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

სს კორპორაცია „ქინძმარაულის“ გენ. დირექტორი:


 /ნ.ქსოვრელი/

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაული“

მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2019 წელს გაწეული სამუშაოს შედეგების მიხედვით

შინაარსი

I.საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	3
II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა	3
III.საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.	4
IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.....	7
V.ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ	9
VI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა	9
VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა	9

I.საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

სააქციო საზოგადოება კორპორაცია „ქინძმარაულის“ ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც თავად სს კორპორაცია „ქინძმარაულს“, ასევე მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს.

კორპორაცია „ქინძმარაულის“ მოქმედი შვილობილი საწარმოების შესახებ:

- შპს „კონჭო და კომპანია“, ს/ნ 241565702, მისამართი ქ. ყვარელი ერეკლე მეორეს ქ.#10. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „კახეთი-კ“, ს/ნ 241569209, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#2. საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია;
- შპს „მატო ყვარელი“, ს/ნ 441555988, მისამართი ქ. ყვარელი კუდიგორის ქ.#1ა. საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.

თავად სს კორპორაცია „ქინძმარაული“, ს/ნ 241557409, მისამართი ქ.ყვარელი, ჭავჭავაძის ქ.# 55, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს შეადგენს: სოფლის მეურნეობა-ძირითადად მევენახეობა; ყურძნის წარმოება-გადამუშავება; ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ბრენდის წარმოება -რეალიზაცია. აგრეთვე საწარმოს ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება.

საწარმოს ერიცხება საკუთარი ჰიდროელექტროსადგური, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 1,5 მეგავატია.

საზოგადოება შვილობილი საწარმოების ჩათვლით აწარმოებს ღვინის, ბრენდის რეალიზაციას ექსპორტზე და ადგილობრივ ბაზარზე.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო 2019 წელს საზოგადოების განვითარების შედეგებს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით წარმატებულად აფასებს. საზოგადოებამ 2019 წელიწადი დაასრულა 4 500 126 ლარი მოგებით, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 2 644 839 ლარით ნაკლებია.

საანგარიშო წელს სამეთვალყურეო საბჭოს მთელი საქმიანობა აქციონერთათვის გამჭვირვალედ რჩებოდა, რადგან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ყველა ოქმი ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი აქციონერისათვის, მისი მოთხოვნის შესაბამისად.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო და საზოგადოების მენეჯმენტი უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლოტიკას.

II. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო საქმიანობა

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საექსპორტო ქვეყნების და პარტნიორების მოძიება საექსპორტო პორტფელის დივერსიფიკაციის მიზნით;
- პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა და კონტროლი.

რაც შეეხება საინვესტიციო საქმიანობას - საზოგადოება ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე.

2019 წელს საზოგადოებამ განახორციელა საინვესტიციო დაბანდებები თანხით 6 მლნ-ზე მეტი ლარის, მათ შორის შევსებით ძირითადად:

- მიწის ნაკვეთები - 314 520 ლარის;
- ვენახის გაშენება და წვეთოვანი სისტემები - 364 300 ლარის;
- შენობების შეძენა - 1 037 000 ლარი;
- ცისტერნები, ქარხნის გადაიარაღება (მანქანა-დანადგარები) - 1 938 000 ლარის;
- მშენებლობა და მონტაჟი - 1 680 000 ლარის;
- ტრანსპორტი - 148 740 ლარი;
- ტურისტული ინფრასტრუქტურა - 146 800 ლარის

2019 წელს პროექტების და დაფინანსების წყარო იყო საზოგადოების გასული პერიოდის მოგების ნაწილი, მოზიდული სახსრები და ამორტიზაციის ფონდი.

მომდევნო უახლოესი პერიოდის - 2020 წლიდან საზოგადოების საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია:

- ღვინის ახალი ჩამოსასხმელი ხაზის დანადგარი -0,8 მლნ ლარი;
- გასულ წლებში დაწყებული მშენებლობების გაგრძელება-დასრულება - 0,7 მლნ ლარის;
- ვენახის გაშენება-გამორგვა და კაპიტალიზაცია- 0,3 მლნ ლარის;
- შენობების აშენება-შეძენა, მიწების შეძენა - 1,2 მლნ ლარი;
- ტურისტული ინფრასტრუქტურა - 50 ათასი ლარი;
- ქარხნისათვის გადაიარაღება სხვადასხვა ძ/ქონების და დანადგარების შეძენა -2,6 მლნ ლარი,

სულ ამ პერიოდისათვის დაგეგმილია 6 მლნ ლარამდე ინვესტიციების განხორციელება.

III.საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, სტრუქტურის და აქტივების დინამიკის ანალიზი, საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.

საზოგადოების 2019 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის

დახასიათება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (ლარში) :

	2019	2018
შემოსავლები	20,349,421	15,003,074
რეალიზაციის თვითღირებულება	(11,764,801)	(6,948,593)
საერთო მოგება	8,584,620	8,054,481
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,903,463	3,013,306
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,028,187)	(3,889,870)
სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯი	(872,545)	(173,440)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	(1,150,995)	229,743
მოგება უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, წმინდა	334,139	88,932
ფინანსური ხარჯები, წმინდა	(269,317)	(108,633)
წლის მოგება დაბეგრამდე	4,501,178	7,214,519
მოგების გადასახადი	(1,052)	(69,554)
წლის მოგება	4,500,126	7,144,965
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	4,500,126	7,144,965

საბაზისო მოგება ერთ აქციაზე შეადგენს 2019 წელს 100 და 2018 წელს 158,78 ლარს.

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სფეროა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება და ელენერგიის წარმოება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს

ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2019 წელს ამონაგებმა შეადგინა 20 349,4 ათასი ლარი, რაც 5 346,4 ათასი ლარით მეტია 2018 წელთან შედარებით.

ამონაგები 2019 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. გადატვირთული (რეალიზებული) პროდუქციის რაოდენობის ზრდა;
2. მოძიებულ იქნა ახალი საექსპორტო სავაჭრო პარტნიორები;
3. გაიზარდა ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის გაყიდვა, რომელშიც უდიდეს წილს შეადგენს ღვინის სახლიდან ტურისტულ ნაკადებზე გაყიდული პროდუქციის ღირებულება

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა, ლარი

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	25,009,152	22,087,585
საინვესტიციო ქონება	120,077	97,997
არამატერიალური აქტივები	14,162	16,662
მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები	810,165	439,787
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14,030,599	11,057,985
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,155,494	6,729,030
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,431,389	4,344,788
სულ აქტივები	50,571,038	44,773,834
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2,458,718	1,572,896
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული სესხები	1,535,500	1,788,693
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,470,387	2,805,938
სულ ვალდებულებები	7,464,605	6,167,527
სააქციო კაპიტალი	2,361,000	2,361,000
გაუნაწილებელი მოგება	40,745,433	36,245,307
სულ კაპიტალი	43,106,433	38,606,307
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	50,571,038	44,773,834

საზოგადოების საბრუნავი აქტივები გაიზარდა 2 856,1 ათასი ლარი

2019 წლის ბოლოსათვის სს კორპორაცია „ქინძმარაულის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 50 571 ათასი ლარი, 2018 წელში კი - 44 773,8 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 5 797,2 ათასი ლარით ძირითადი საშუალებების ზრდის და გაუნაწილებელი მოგების შედეგად.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.28	2.51
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	5.08	4.91

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 2,51-დან 2,28-მდე. მოცემული მაჩვენებლის შემცირებაზე იმოქმედა სასაქონლო მატერიალური მარაგების ზრდამ.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 4,91-დან 5,08-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის გაზრდას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის გაზრდა ასევე განპირობებულია სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და სავაჭრო მოთხოვნების გაზრდით.

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაყიდვების რენტაბელობა	22,1%	47,6%

საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლებიდან განვიხილოთ გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებელი, რომელიც 2019 წელს შეადგენდა 22,1%, 2018 წელს 47,6%, მაჩვენებლის შემცირება დაკავშირებულია საზოგადოების მიერ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლის გაზრდით.

საზოგადოების საქმიანობის 2019 წლის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად.

	2019	2018
ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,942,714	12,939,197
ჰოტელის და რესტორნის შემოსავალი	1,058,347	1,012,398
ელექტროენერგიის რეალიზაცია	232,106	463,819
სხვა	116,254	587,660
სულ საოპერაციო შემოსავალი	20,349,421	15,003,074

	2019	2018
ჩინეთი	4,103,511	2,226,547
საქართველო	3,486,071	2,452,082
უკრაინა	2,875,203	2,384,747
ბელარუსი	2,761,863	1,151,695
ევროკავშირი	1,669,778	1,328,472
რუსეთი	1,264,692	697,129
ყაზახეთი	1,045,181	1,297,621
აშშ	777,432	426,296
იაპონია	545,887	526,138
კანადა	413,096	448,470
სულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	18,942,714	12,939,197

მოგების მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე ასევე წარმოგიდგენთ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2017	2,361,000	29,637,184	31,998,184
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,144,965	7,144,965
გაცხადებული დივიდენდი	-	(536,842)	(536,842)
31 დეკემბერი, 2018	2,361,000	36,245,307	38,606,307
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,500,126	4,500,126
31 დეკემბერი, 2019	2,361,000	40,745,433	43,106,433

IV. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ძირითადი ფაქტორების აღწერილობა, საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

სს კორპორაცია ქინძმარაულის „ ძირითადი საქმიანობაა ალკოჰოლური სასმელების წარმოება-რეალიზაცია, სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა და ელენერგიის წარმოება.

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს , რომლებსაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე , შემდეგია:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ყურძნის შესყიდვასთან დაკავშირებით სუბსიდიების დაშვება ან გაუქმება, რომელიც საბოლოოდ შესასყიდი ფასის მკვეთრ ცვალებადობას იწვევს ერთი სეზონის განმავლობაში.

აგრეთვე ელენერგიის ტარიფებთან დაკავშირებით დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის(სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს ჰესის მიმდინარე ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 27.12.2017 წ. №48 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები სემეკ-ის 04.12.2008წ. დადგენილებაში №33 “ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან დადგინდა ახალი ტარიფები ელექტროენერგიის განაწილებაზე, გატარებასა და მოხმარებაზე.

გლობალური საერთაშორისო რისკები. COVID-19 თან დაკავშირებული რისკები: მოცემული პანდემიის შედეგად გამოწვეული რისკები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს 2020 წლის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ეს შესაძენვეი იქნება ექსპორტზე გადატვირთვებთან მიმართებაში, ხოლო მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი ბაზრისათვის. კერძოდ , 2020 წლის 6 თვის შედეგებით ტურისტული ნაკადების შეწყვეტის გამო საწარმოს ამ პერიოდისათვის ადგილობრივი ბაზრის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია მხოლოდ 12 %-ით . რაც ფულად გამოხატულებაში შემოუსვლეელი თანხა 2019 წელთან შედარებით 1 760 ათასი ლარით ნაკლებია.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელსაც საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონოდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის

გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი დასაოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე საზოგადოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

საკრედიტო რისკები. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს აუცილებელი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურული საგაჭრო დებიტორული დავალიანებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. პრობლემური დებიტორების დროული იდენტიფიცირების და დავალიანებისთვის სათანადო რეზერვების შექმნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობა ახორციელებს რეზერვების კონსერვატიულ პოლიტიკას. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, რესტრუქტურული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები დამოკიდებულია შიდა და გარე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული რამოდენიმე შემსყიდველით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

საბაზრო რისკები. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო დასპეციფიკური რყევების ზემოქმედებას. სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე.

ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარისი მოქნილობა მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდაკონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა. რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:
 - არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებების არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;
 - სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

- უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;
 - შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, ვალდებულება, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
 - სიზუსტე– ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;
 - წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.
2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებს ახდენს ფინანსური ანგარიშგების არა სარწმუნოებაზე.
 3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან / სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

V. ანგარიში საზოგადოების აქციების შესაბამისად გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისა აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2019 წელში საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად არ გადაწყდა ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გადახდა .

VI. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სსკორპორაცია „ქინძმარაულის“ სააქციო კაპიტალი შეადგენს 2,361,000 ლარს და დაყოფილია 45,000 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 52,47 ლარი თითოეული.

კომპანიის აქციონერები არიან:

	2019	2018
თამაზ კონჭოშვილი	43.21%	43.21%
ეკატერინე ამირანაშვილი	23.91%	23.91%
სიმონ ტუგუნიძე	11.38%	11.38%
ალექსანდრე ბილანიშვილი	9.48%	9.35%
ელგუჯა ცირიკაშვილი	5.93%	5.93%
სხვა აქციონერები	6.09%	6.22%
	100.00%	100.00%

VII. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს

განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას.

აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით. აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით.

აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდის თაობაზე, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით, მათი უფლებებისა და პრივილეგიების გათვალისწინებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშის, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

სს კორპორაცია „ქინმმარაულის“ გენ. დირექტორი:

/ნ.ქსოვრელი/